

„აი საბონე“ ანუ ერეკლე II-ის დროინდელი ამბები

„აი, საბონე!“.- აღმოხდა ალბინას. ისევ ეპიდსიტუაციაზე საუბრობენ, ფეისიცი აჭრელებულია, ვერსად გაექცევი... ვაი თუ ისევ ონლაინ სწავლებაზე გადაგვიყვანონ, როგორ არ მინდა!.. შიში... „შიშს დიდი თვალები აქვსო“, - ნათქვამია. ყველას ემინია, მაგრამ განა ჩვენს ბრძენ წინაპარს არ უთქვამს: „შიში ვერ იხსნის სიკვდილსა, ცუდია დაღრეჯილობაო“?

ახალგაზრდობა, ახლანდელი თაობა სკოლის გარეშე ვრჩებით. ცოცხალ ურთიერთობებს ვერანაირი ონლაინ შეხვედრა ვერ ჩაანაცვლებს:

აი, ერეკლე მეფის დროს იყო, თუ იყო ეპიდემიები. მეფე არ შეშინდა, პროგრესულად მოაზროვნე ქვეყნის მმართველმა თავისი შვილი პირველმა აცრა, რომ ხალხს არ შეშინებოდა, მეფის თანადგომა და მხარდაჭერა ეგრძნო. მეფემ საუკეთესო მაგალითი უჩვენა. რა, მეფეს არ უყვარდა თავისი შვილი თუ?..

დავგუგლე და ეროვნულ არქივში ერეკლე მეორეს ისტორიული საბუთების კოლექციაში 1672 დოკუმენტი შემონახულა.

ტელეფონი აწვრიალდა, ჯგუფის წევრებს გამოეღვიძათ, ეტყობა „გასარჩევი“ თემა „შემოადგეს“.

ერეკლე მეფემ 1700 წლის 12 აპრილს ქვახევის მაცხოვრებლები გაააზატაო, - წერდა სოფო. რაო, რაო?.. დაინტერესდა გიო. „გაააზატა“ რაღას ნიშნავს?

„გაათავისუფლა, გაათავისუფლა ყოველგვარი გადასახადისგან“, - დააკომენტარა თემომ.

შიომღვიმის მონასტერს შეწირული მოსახლეობა ყველანაირი გადასახადიდან გაუთავისუფლებია და ციხის აგება უბრძანებია.

ბრძენი მეფე, იყო ერეკლე...

სულ ხალხზე ფიქრობდა და ზრუნავდა გონიერი სტრატეგი - სოფლის გაძლიერება და თავდაცვის განმტკიცება მოსალოდნელი ომიანობისთვის მზადება და კიდევ...

- რა კიდევ?...

- რა და, მგზავრს ყოველთვის სჭირდება დახმარება და თავშესაფარი. იმ სოფლის თითოეული მაცხოვრებელი იყო ვალდებული შეეფარებინა და გამასპინძლებოდა.

- ხო, ხო... ნამდვილად ტრადიციების დამცველი და ხალხზე ზრუნვით გამორჩეული. ამიტომაც ყველას უყვარდა... ერთგული „ოვსებით“ იბრძოდა ხოლმე, ყვარლის ციხეც ხომ გადაარჩინა დაცემას...

- მართალია... და ამიტომ სიყვარულით „პატარა კახი“ შეარქვეს, ლეგენდებით შემოსეს მისი სახელი.

- „რა კაცი იყო!!“ - დააკომენტარა თემომ. მზრუნველი მეფე და თან ყველას, განურჩევლად ყველა მოქალაქეს უყვარდა. შეეძლო მიეწერა მისთვის წერილი და თავისი გასაჭირის შესახებ ეამბნა. იმ იმედით, რომ სამართალს იპოვიდა. მეფე დაეხმარებოდა სიმართლის აღდგენაში, - მოიწერა სოფომ.

- კი, აბა რა, „საქართველოს მეფეები თავმდაბლობის და სამართლიანობის ნიმუშად ქცეულან“, - თავისი აზრი გამოთქვა თათიამ.

უამრავი საქმის გაძლიერება და საზრუნავით დადლილს არც ერთი მომჩივნის წერილი უპასუხოდ არ დაუტოვებია. ყველას გასაჭირსა და განსააცდელს ითვალისწინებდა და საპასუხო წერილებსაც წერდათ, მიუხედავად აუარება საქმისა... - ხა, ხა, ხა... „ღიმილები“ ჩაცვივდა მესენჯერში

- შენ რას იღიმი მთელი გულით?! - შეეჭვდა ალბინა.

- რაღაც ისე ვერ ვთქვი?! „აი, საბონე!..“ თელაველებისთვის რომ შეუთვლია, ნუ მწერთ წერილებს, დავიდალე!!.. თქვენ თავს თვითონ მიხედეთ და ვინც შეგაწუხებთ „გალახეთო!..“

- რაო,რაო?!. იმერიზმები ამ შუა კახეთში?..

- კახელებს მისწერა... კი, აბა!

იუმორის დიდოსტატი იყო, თან სამეფო ბეჭდებიც დაუსვა, ალბათ ხუთი თუ ექვსი

- „აი, საბონე!“.. რა მეფე იყო!..

- ნუ მაცინებ! მუშტი-კრივი გამართეთ, შემწუხებელს ფიზიკურად თქვენ თვითონ გაუსწორდითო, მაგარია...

- არა, მე, მაინც მეფე ერეკლე, როგორც მოსიყვარულე მამის სახე დამრჩება სამახსოვროდ:

ხუთი წლის ნაბოლარას „თეკლა ბიჭს“ რომ ემახის და ერთ-ერთი ომიდან გამოგზავნილ წერილს მამობრივი სითბოთი და სიყვარულით სავსეს, როგორც ოფიციალურ დოკუმენტს თან სამეფო ბეჭედს რომ უსვამს, ბარე - ხუთს.

არქაული სტილით დაწერილ წერილს თან სდევს მშობელი მეფის უთბილესი განცდა და სათნოება. ომში წასული გირგინოსანი შორიდან ესიყვარულება თავის პატარას და „მეფურ საჩუქარს“- ექვს ბროწეულს უგზავნის. რა ქნას? ახლა მეტი არაფერი აქვს მეფეს, ნაბოლარა გოგონასთან გასაგზავნი. ხელმოკლედ, მოკრძალებით მცხოვრები მეფე „შაქარყინულისა“ და „ნულლის“ გაგზავნას მეორე დღისთვის ჰპირდება და წერილს ხუთ ბეჭედს უსვამს, როგორც ოფიციალურ დოკუმენტს ისე, როგორც თეკლას ბიჭად კურთხევის დროს. ვკითხულობთ მეფის წერილს და გამოგვაქვს მართებული დასკვნები.

ქონებრივად მოკრძალებულად მცხოვრები მეფე ერეკლე მეორე - ერის მოამაგე, მოსიყვარულე, მეფე - მებრძოლი, გაჭირვებულთა შემწე, სულით მდიდარი და 300 წლის წინ დაწერილი წერილებით, რომ გაგვაცნო თავისი თვისებები...

დღეს კი იუბილარია...

300 წელი გავიდა და ვულოცავთ ჩვენ, 21-ე საუკუნის მოსწავლეები იუბილეს ერზე ზრუნვითა და ხალხზე ფიქრით გულანთებულ მამულიშვილს, რიგით მებრძოლს, სარდალს, რომლის ხმალიც თავზარს სცემდა მტერს ათწლეულების განმავლობაში. კახეთის გმირ - „პატარა კახს“, მოსიყვარულე მამას, თავის ოჯახზე და შვილებზე მზრუნველს, უშუალოს და მსუბუქი იუმორით შემკული წერილების ავტორს, დიდ სტრატეგს და დიდებულ წინაპარს!..

სსიპ ყვარლის მუნიციპალიტეტის სოფელ წიწკანანათსერის საჯარო სკოლის

IX კლასის მოსწავლე - ალბინა გაგლოვეი 14 წლის